+

პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2026 წლის --- თებერვალი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34. 014) პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტისათვის, , 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 20 თებერვლის 48-48260512 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34. 014) პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტისათვის, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი # 29.08. 34. 014) პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტისათვის, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მესამე რანგის პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის მ/შ: მაია უგლავა

შეთანხმებულია:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი: მაია ბერაძე

აპარატის უფროსი: გელა თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე: რევაზ დიდავა

საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-48260512**
თარიღი: **20/02/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2026 წლის 13 თებერვალს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტის თავმჯდომარემ წერილობით მომართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის განვითარებისა და დანერგვის მიზნით არანაკლებ 30 კვ.მ ფართის უძრავი ქონების უსასყუდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემას. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის 2026 წლის 19 თებერვლის N02-482605049 წერილის (თან ერთვის) შესაბამისად, მიზანშეწონილია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ გადაწყვეტილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 29.08.34.014) ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 33.6 კვ.მ. ფართი, შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. თბილისი 0144;
გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხი, N 4; ბინა N311
ელ.ფოსტა: disabilitypolicyinstitute@gmail.com
ს/კ 400443702

DPI

შშმ პირთა პოლიტიკის ინსტიტუტი
DISABILITY POLICY INSTITUTE

N 1/2026

12.02.2026

ქალაქ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

გწერთ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტის“ სახელით, რომელიც შშმ პირთა უფლებების, კეთილდღეობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე მუშაობს და, ამ მიზნით, ახორციელებს კვლევით, ანალიტიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას.

შშმ პირთა პოლიტიკის ინსტიტუტის სახელით მოგმართავთ თხოვნით, განიხილოთ ინსტიტუტისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არანაკლებ 30 კვადრატული მეტრი ფართის უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადმოცემის საკითხი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის დანერგვისა და განვითარების მიზნით.

ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის დანერგვა და განვითარება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. აღნიშნული სერვისი ხელს უწყობს შშმ პირთა აქტიურ ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განათლების მიღებასა დასაქმებაში. გარდა ამისა, იგი მკვეთრად აუმჯობესებს მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არანაკლებ 30 კვ.მ ფართი აუცილებელია ზემოაღნიშნული სერვისის სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობისთვის.

ჩვენის მხრივ, პასუხისმგებლობას ვიღებთ, რომ მოთხოვნილი ფართის გამოყოფის შემთხვევაში, უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულების დადებიდან უმოკლეს ვადებში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტი” დაიწყებს შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის განხორციელებას წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

დამატებით გაცნობებთ, რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტის” გუნდს აქვს შშმ პირთა საკითხებზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მათ შორის პერსონალური ასისტენტის სერვისის დანერგვის გამოცდილება საქართველოს ხუთ ქალაქში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის!

პატივისცემით
დავით ბიბილეიშვილი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტის თავმჯდომარე
ტელ: 598 910 896
ელ-ფოსტა: disabilitypolicyinstitute@gmail.com

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მარეხი კანკაძე
ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური-სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი:**02-482605049**
თარიღი: **19/02/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

თქვენი მიმდინარე წლის 16 თებერვლის N 08-482604796 წერილის პასუხად გაცნობებთ რომ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №495 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2025 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული მომსახურება, 2025 წლის პირველი იანვრიდან დელეგირებულია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე. დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის №1/ნ ბრძანებით დამტკიცდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და გაცემის წესი. აღნიშნული ბრძანების თანახმად, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო მიზნობრივი ტრანსფერის ანაზღაურებას უზრუნველყოფს იმ მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც სამინისტროს მიერ რეგისტრირებულია მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია და ხორციელდება მომსახურება, იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით ჩვენს მუნიციპალიტეტში ქვეპროგრამის მომსახურების მიმწოდებლად არცერთი ორგანიზაცია არ არის დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტი ვერ ახორციელებს პერსონალური ასისტენტის პროგრამას, აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის ინსტიტუტს'' მუნიციპალიტეტში, შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის დანერგვისა და განვითარების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არანაკლებ 30 კვ.მ. ფართი,

პატივისცემით,

ნათია ჩაკვეტაძე

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური-სამსახურის უფროსი

საქართველო
„ ა რ მ ი"
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

წყალტუბო, რუსთაველის №25, მე-2 სართული ტელ: -21-67

I სართულის გეგმა



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის